საქართველოს მთავრობის

დადგენილება №21

2025 წლის 27 იანვარი

ქ. თბილისი

„განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №257 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №257 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/05/2019, 300310000.10.003.021274) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების:

1. მე-17 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ“ – „მ“ ქვეპუნქტები:

„კ) სამოქალაქო აეროდრომის მშენებლობისას, საქართველოს საჰაერო კოდექსისა და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 თებერვლის №87 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის – „სამოქალაქო ავიაციის აეროდრომების/ვერტოდრომების პროექტირებისა და ექსპლუატაციის ძირითადი პირობების“ შესაბამისად – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მართვის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სამოქალაქო ავიაციის სააგენტო (შემდგომში – სამოქალაქო ავიაციის სააგენტო);

ლ) სამოქალაქო ავიაციის აეროდრომის/ვერტოდრომის დაცვის არეში, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 6 მარტის №73 დადგენილებით დამტკიცებული „აეროდრომისა და ვერტოდრომის დაცვის არის დადგენისა და ამ არეში საავიაციო დაბრკოლების შემქმნელი შენობა-ნაგებობის მშენებლობის, აგრეთვე აღნიშნული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის, შეზღუდვისა და ნიშანდების წესის“ 23-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად – სამოქალაქო ავიაციის სააგენტო;

მ) სახელმწიფო ავიაციის აეროდრომის/ვერტოდრომის დაცვის არეში, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 6 მარტის №73 დადგენილებით დამტკიცებული „აეროდრომისა და ვერტოდრომის დაცვის არის დადგენისა და ამ არეში საავიაციო დაბრკოლების შემქმნელი შენობა-ნაგებობის მშენებლობის, აგრეთვე აღნიშნული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის, შეზღუდვისა და ნიშანდების წესის“ 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.“.

2. 30-ე მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ“ ქვეპუნქტი:

„მ) საქართველოს მთავრობის 2024 წლის 6 მარტის №73 დადგენილებით დამტკიცებული „აეროდრომისა და ვერტოდრომის დაცვის არის დადგენისა და ამ არეში საავიაციო დაბრკოლების შემქმნელი შენობა-ნაგებობის მშენებლობის, აგრეთვე აღნიშნული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის, შეზღუდვისა და ნიშანდების წესის“ 23-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევაში – ამავე წესის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ – „დ“ და „ვ“-„ზ“ ქვეპუნქტების შესაბამისად დადგენილი დოკუმენტაცია.“.

3. 36-ე მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) საქართველოს მთავრობის 2024 წლის 6 მარტის №73 დადგენილებით დამტკიცებული „აეროდრომისა და ვერტოდრომის დაცვის არის დადგენისა და ამ არეში საავიაციო დაბრკოლების შემქმნელი შენობა-ნაგებობის მშენებლობის, აგრეთვე აღნიშნული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის, შეზღუდვისა და ნიშანდების წესის“ 23-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევაში – ამავე წესის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად დადგენილი

დოკუმენტაცია.“.

4. 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „შ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შ) აეროდრომი კოდური აღნიშვნით – 4D, 4E ან 4F (საანგარიშო საფრენი ზოლის სიგრძე – 1 800 მ და მეტი, ასევე თვითმფრინავის ფრთის გაშლა – 36 მ და მეტი);“.

მუხლი 2

დაევალოთ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს, სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსთვის აეროდრომის/ვერტოდრომის დაცვის არეებისა და შეთანხმებას დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**